ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N50

გამარტივებული შესყიდვა

(საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-10/1 მუხლის 3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164, 2020 წლის 13 მარტის N538, 2020 წლის 18 მარტის N554, 2020 წლის 6 ნოემბრის N2217 და 2020 წლის 11 დეკემბრის N2449 განკარგულების საფუძველზე)

დაფინანსების წყარო 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი **„31“ ნოემბერი, 2020 წელი**

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. 4; ტელეფონი: 2 436999; საბანკო რეკვიზიტები: ა.ა. GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, საიდენტიფიკაციო კოდი - 204578206), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი **ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მედეა ჯანიაშვილის** სახით და **შპს ჯორჯიან ბას** (მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი N38. საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი, ბანკის კოდი TBCBGE22, ა.ა. GE93TB7811736020100001, საიდენტიფიკაციო კოდი 412700466) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **შალვა ხუციშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა (CPV 60170000))

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **1149132.40** (ერთი მილიონ ასორმოცდა ცხრა ათას ას ოცდათორმეტი ლარი და 40 თეთრი) **ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში.

3.4. მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა: **2021 წლის 01 თებერვლამდე.**

3.5. მომსახურების გაწევის ადგილია: დანართი N1 შესაბამისად;

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი N1-ის შესაბამისად.

ბ)განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 **ინსპექტირებას განახორციელებს: სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს სამეურნეო და სახემწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი ნინო ტვილდიანი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, პერიოდულად ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადებში გამოასწოროს ხარვეზი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარვეზის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გასწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გამოსწორება, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 **მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს სამეურნეო და სახემწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი ნინო ტვილდიანი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება ეტაპობრივად, კვირაში ერთხელ, ინვოისის წარმოდგენიდან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-**ისოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.

10.4 თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან, **მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, მომსახურების გაწევაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საჭიროებიისამებრ შეცვალოს/შეწყვიტოს მომსახურების გაწევის ვადა.
16.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტის სახით ქართულ ენაზე, როგორც შემსყიდველისათვის, ასევე მიმწოდებლისთვის.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საქართველოს ტურიზმის	**შპს ჯორჯიან ბას**
ეროვნული ადმინისტრაცია	**მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. 38**
მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. 4	**ტელეფონი: 593 413481**
ტელეფონი: 2 436999	**საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“**
საბანკო რეკვიზიტები: ა.ა. GE24NB0330100200165022,	**ბანკის კოდი TBCBGE22,**
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	**ა.ა. GE93TB7811736020100001**
საიდენტიფიკაციო კოდი - 204578206	**საიდენტიფიკაციო კოდი - 412700466**
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი	**დირექტორი**
მედეა ჯანიაშვილი	**შალვა ხუციშვილი**

1. ტრანსპორტის მომსახურების განფასება:

1. ნაწილი

N	მომსახურების აღწერა	კილომეტრაჟი	სედანი 2 ადგილი (0.5 წყალი თითოეულ მგზავრზე)			მირკოავტობუსი 8 ადგილი (0.5 წყალი თითოეულ მგზავრზე)			ავტობუსი 25 ან მეტი ადგილი (0.5 წყალი თითოეულ მგზავრზე)		
			სავარუდო გარბენი	ერთ ფასი	სულ ფასი	სავარუდო გარბენი	ერთ ფასი	სულ ფასი	სავარუდო გარბენი	ერთ ფასი	სულ ფასი
1	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	0-50	470	10.00	4700.00	4000.00	20.00	80000.00	4000.00	25.00	100000.00
2	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	51-100	980	5.00	4900.00	5000.00	8.00	40000.00	4400.00	1.50	6600.00
3	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	101-150	1540	4.00	6160.00	9480.00	2.00	18960.00	7800.00	1.00	7800.00
4	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	151-200	1890	4.00	7560.00	14100.00	0.01	141.00	10000.00	0.01	100.00
5	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	201-300	1660	3.00	4980.00	19000.00	0.01	190.00	7400.00	0.01	74.00
6	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	301-400	1470	2.50	3675.00	5660.00	0.01	56.60	8400.00	0.01	84.00
7	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	401-500	1580	1.00	1580.00	4140.00	0.01	41.40	5000.00	0.01	50.00
8	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	501-600	1610	1.00	1610.00	2840.00	0.01	28.40	4800.00	0.01	48.00
9	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	601- 700 და მეტი	1100	1.00	1100.00	3500.00	0.01	35.00	5200.00	0.01	52.00
ჯამი					36265.00			139452.40			114808.00

2. ნაწილი

N	მომსახურების აღწერა	კილომეტრაჟი	მირკოავტობუსი 8 ადგილი (0.5 წყალი თითოეულ მგზავრზე)		
			სავარუდო გარბენი	ერთ ფასი	სულ ფასი
1	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	1-30კმ	19200	7.00	134400.00
2	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	31-60კმ	21600	3.00	64800.00
3	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	61-100კმ	16000	2.00	32000.00
4	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	101-150კმ	13000	0.01	130.00
5	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	151-200კმ	11000	0.01	110.00
6	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	201-300კმ	8000	0.01	80.00
7	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	301-400კმ	7000	0.01	70.00
ჯამი					231590.00

3. ნაწილი

N	მომსახურების აღწერა	კილომეტრაჟი	მირკოავტობუსი			ორხიდიანი ტრანსპორტი		
			სავარუდო გარბენი	ერთ ფასი	სულ ფასი	სავარუდო გარბენი	ერთ ფასი	სულ ფასი
1	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	1-50 კმ	19000	20.00	380000.00	900	25	22500.00
2	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	51-100 კმ	34900	5.00	174500.00	1800	15	27000.00

3	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	101-200 კმ	46500	0.20	9300.00	2400	5	12000.00
4	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	200-500 კმ	21700	0.01	217.00	1500	1	1500.00
	ჯამი				564017.00			63000.00

სულ ჯამი (1, 2 და 3 ნაწილი)	**1,149,132.40 ₾**

2. მიმწოდებელმა ასევე უნდა გაითვალისწინოს შემდეგი მოთხოვნები:

„საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულებით დამტკიცებულია ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმა. აღნიშნული გეგმაში 2020 წლის 13 მარტის N538 განკარგულებით დაემატა შესაბამისი პუნქტი, რომლითაც სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დაევალა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, შესაბამისი პირების სავალდებულო კარანტინის ფარგლებში განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასთან და საკარანტინო პერიოდში სათანადო პირობების შექმნასთან დაკავშირებული სხვადასხვა საქონელისა და მომსახურებების შესყიდვის უზრუნველყოფა.

1. ნაწილი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე კორონა ვირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში პრემიერის დავალების საფუძველზე, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უზრუნველყო სავალდებულო კარანტინის ფარგლებში მყოფი მოქალაქეების იზოლაციისთვის ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული ტრანსპორტირება აეროპორტებიდან და სასაზღვრო პუნქტიებიდან საკარანტინე ადგილამდე. ასევე, მნიშვნელოვანია იმის გათავალისწინებაც რომ, მომსახურება ხორციელდება 24/7 საათის განმავლობაში და აუცილებელია მუდმივად მობილიზებული შესაბამისი ტრანსპორტი სსიპ საქარტველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნლ ლოკაციებზე.

დღემდე მიღებულმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ეს არ არის რიგითი წინასწარ დაგეგმილი და მარტივად გაწერილი სატრანსპორტო მომსახურება, რაც მოიცავს ბევრ დეტალს და ფაქტორს რომლის რომლის გათვალისწინებაც ძალიან მნიშვნელოვანია მომსახურების გაწევისას.

მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი მოთხოვნები:

• ჯანმოს მიერ მოწოდებული რეკომენდაციის შესაბამისად თითოეული მგზავრი ტრანსპორტში განთავსებული უნდა იყოს ჭადრაკისებულად, რაც დიდი ავტოპარკის მობილიზებას მოითხოვს, რადგან არის ათობით და ასობით მოქალაქის შემოსვლის შემთხვევები საჰაერო თუ, სახმელეთო გზით;

• ყოველი ტრანსფერი დასრულებისას უნდა მოხდეს ტრანსპორტის სტერილიზაცია/დეზინფექცია, ასევე მძღოლთა შესაბმისი აღჭურვა (ხელთათმანი, პირბადე, კომბინიზონი და ყველა საჭირო სანიტარული აღჭურვილობით უზრუნველყოფილი);

• ტრანსპორტში აუცილებლად უნდა იყოს გამოყოფილი 1 ბოთლი წყალი თითოეულ მგზავრზე;

• ჩვენი მუშაობა მიმდინარეობს 24 საათის მანძილზე კვირაში 7 დღე, რადგან დაგეგმილი ჩარტერული რეისების გარდა სახმელეთო გზით დაუგეგმავი შემოსვლები ძალიან ბევრია. სატრანსპორტო კომპანია მზად უნდა იყოს ნებისმიერ დროს საჭირო რაოდენობის ტრანსპორტის მობილიზებისთვის, ყველა ლოკაციაზე;

• მნიშვნელოვანია 24 საათიანი კომუნიკაცია, შესაბამისად ორგანიზაციის მინიმუმ 2 წარმომადგენელი მაინც უნდა იყოს გამოყოფილი საკონტაქტოდ საჭირო ტრანსპორტის მყისიერად მობილიზებისთვის, რადგან ერთთან თუ ვერ მოხდა დაკავშირება, მეორე იყოს თადარიგში;

• სხვადასხვა (ჩვენგან დამოუკიდებელი) მიზეზების გამო მგზავრთა დიდი ნაწილი შეშინებული, დაძაბული და ხშირ შემთხვევაში გაღიზიანებულიც არის, რაც დიდი წნეხი ხდება მძღოლისთვის და რთულია სამართავად;

• მძღოლების ქმედებები სრულად უნდა კონტროლდებოდეს ორგანიზაციის მიერ. ასევე, თითოეული მათგანი უნდა ემოჩილებოდეს გაწერილ პროტოკოლსა და შემსყიდველის წარმომადგენლის მითითებებს;

• გაღიზიანებული მგზავრების უმართავი ქმედების დროს ტრანსპორტ(ის)ში დაზიანებული ნივთი (სავარძელი, სავარძელის სახელური, მონიტორი ან/და სხვა ნებისმიერი დეტალი) ვერ ანაზღაურდება შემსყიდველის მიერ.

სატრანსპორტო მომსახურება სახელშკრულებო პერიოდის განმავლობაში სავარაუდოდ განხორციელდება შემდეგ ლოკაციებზე:

N	ლოკაციები, საიდანაც მოხდება მგზავრების გადაყვანა საკარანტინე სივრცეების მიმართულებით	სედანი 2 ადგილი (0.5 მლ წყალი თითოეულ მგზავრზე) ყოველდღიურ რეჟიმში საჭირო მინიმალური რაოდენობა	მირკოავტობუსი 8 ადგილი (0.5 მლ წყალი თითოეულ მგზავრზე) ყოველდღიურ რეჟიმში საჭირო მინიმალური რაოდენობა	ავტობუსი 25 ან მეტი ადგილი (0.5 მლ წყალი თითოეულ მგზავრზე) ყოველდღიურ რეჟიმში საჭირო მინიმალური რაოდენობა
1	თბილისის აეროპორტი	მოთხოვნის შესაბამისად	მოთხოვნის შესაბამისად	მოთხოვნის შესაბამისად
2	ქუთაისის აეროპორტი	მოთხოვნის შესაბამისად	მოთხოვნის შესაბამისად	მოთხოვნის შესაბამისად
3	ბათუმის აეროპორტი	მოთხოვნის შესაბამისად	მოთხოვნის შესაბამისად	მოთხოვნის შესაბამისად
4	წითელი ხიდის სასაზღვრო პუნქტი	მოთხოვნის შესაბამისად	მოთხოვნის შესაბამისად	მოთხოვნის შესაბამისად
5	სადახლოს საზაზღვრო პუნქტი	მოთხოვნის შესაბამისად	მოთხოვნის შესაბამისად	მოთხოვნის შესაბამისად
6	ლარსის სასაზღვრო პუნქტი	მოთხოვნის შესაბამისად	**5 ერთეული მიკროავტობუსი** (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	მოთხოვნის შესაბამისად

7	სარფის სასაზღრო პუნქტი	მოთხოვნის შესაბამისად	**2 ერთეული მიკროავტობუსი** (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	**2 ერთეული ავტობუსი** (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)

N	**საკარანტინე ცივრცეების მისამართები, სადაც სავარაუდოდ მოხდება მგზავრთა გადაყვანა**
1	თბილისის სასტუმროები
2	რუსთავის სასტუმროები
3	კახეთის სასტუმროები
4	გუდაურის სასტუმროები
5	საირმის სასტუმრო
6	ქუთაისის სასტუმროები
7	წყალტუბოს სასტუმროები
8	ბაკურიანის სასტუმროები
9	ბათუმის სასტუმროები
10	ქობულეთის სასტუმროები
11	ახალციხის სასტუმროები
12	ანაკლიის სასტუმროები

ზემოთჩამოთვლი ლოკაციების შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად დაემატება ახალი მისამართები, რომლიც მიმწოდებლისთვის დაუყვნებლად გახდება ცნობილი როგორცკი შემსყიდველი მიიღებს ინფორმაციას გასაწევი მომსახურების შესახებ.

ფასის დაანგარიშება მოხდება, გადასაყვანი ლოკაციიდან საკარანტინე ლოკაციამდე გავლილი კილომეტრაჟის მიხედვით.
დამატებითი მოთხოვნები: • **24/7 მინიმუმ 2 ოპერატორი კომუნიკაციისთვის;** • **ყოველი შესრულებული მარშრუტის შემდგომ ტრანსპორტის სტერილიზაცია - დეზინფიცირება და ასევე, მძღოლთა შესაბმისი აღჭურვა (ხელთათმანი, პირბადე, კომბინიზონი და ყველა საჭირო სანიტარული აღჭურვილობით უზრუნველყოფილი);** • **მგზავრების მიერ ტრანსპორტისათვის მიყენებული დაზიანების აღმოფხვრა საკუთარი სახსრებით;** • **სატრანსპორტო კომპანია მზად უნდა იყოს ნებისმიერ დროს საჭირო რაოდენობის ტრანსპორტის მობილიზებისთვის, ყველა ლოკაციაზე;** • **ჯანმოს მიერ მოწოდებული რეკომენდაციის შესაბამისად თითოეული მგზავრი ტრანსპორტში განთავსებული უნდა იყოს ჭადრაკისებულად ამიტომ მოთხოვნილი ტრანსპრტის თითოეული სახეობისთვის გათავლისწინებულია აღნიშნული მოთხოვნა (მაგ.: მიკროავტობუსი ადგილების რაოდენობა -16, ხოლი ჯანმოს მოთხივნით განთავსდება 8 მგზავრი ჭადრაკისებულრად. ასევე ავტობუსი ადგილების რაოდენობა 50, განთავსდება 25 მგზავრი და ა.შ.), რაც დიდი ავტო პარკის მობილიზებას მოითხოვს.** • **საკარანტინე ზონებიდან ხალხის მისამართებზე მისაყვანი სატრასნპორტო მომსახურებისას კილომეტრაჟის მიხედვით ფასი დაჩება იგივე, ხოლო დაწყების და დასრულების ადგილად ჩაითვალოს ტრანსპორტის მოძრაობის დაწყების წერტილი.**
შნიშვნა: ფასები უნდა მოიცავს ყველანაირ ხარჯს და ყველა გადასახადს.

N	**მომსახურების აღწერა**	**კილომეტრაჟი**	**სედანი 2 ადგილი (0.5 წყალი თითოეულ მგზავრზე)**	**მირკოავტობუსი 8 ადგილი (0.5 წყალი თითოეულ მგზავრზე)**	**ავტობუსი 25 ან მეტი ადგილი (0.5 წყალი თითოეულ მგზავრზე)**
			სავარუდო გარბენი	**სავარუდო გარბენი**	**სავარუდო გარბენი**
1	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	0-50	470	4000.00	4000.00
2	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	51-100	980	5000.00	4400.00
3	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	101-150	1540	9480.00	7800.00
4	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	151-200	1890	14100.00	10000.00
5	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	201-300	1660	19000.00	7400.00
6	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	301-400	1470	5660.00	8400.00
7	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	401-500	1580	4140.00	5000.00
8	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	501-600	1610	2840.00	4800.00
9	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	601- 700 და მეტი	1100	3500.00	5200.00

2. ნაწილი

ასევე, გაცნობებთ რომ, „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულებით დამტკიცებულია ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმა. აღნიშნული გეგმაში 2020 წლის 6 ნოემბრის N2217 განკარგულებით დაემატა შესაბამისი პუნქტი, რომლითაც სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დაევალა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, შესაბამისი პირების სავალდებულო კარანტინის ფარგლებში განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასთან და საკარანტინო პერიოდში სათანადო პირობების შექმნასთან, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიისა) საკარანტინო სივრცეებად გამოყენებული სასტუმროებიდან (კოვიდსასტუმრო) კორონავირუსით ინფიცირებული საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამკურნალო დაწესებულებებში ტრანსპორტირებისა და სამკურნალო დაწესებულებებიდან მათი საკარანტინო სივრცეებად გამოყენებულ სასტუმროებში (კოვიდსასტუმრო) ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საქონელისა და მომსახურებების შესყიდვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე კორონა ვირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში პრემიერის დავალების საფუძველზე, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო კარანტინის ფარგლებში მყოფი მოქალაქეების იზოლაციისთვის ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა.

დამატებით აღნიშნული მომსახურების განსახორციელებლად საჭიროა დაცული იყოს შემდეგი პირობები:

1. მძღოლების ეკიპირება
2. ტრანსპორტში, მძღოლის კაბინის გატიხვრა
3. ტრანსპორტის დეზინფექცია

მიმწოდებელი ვალდებული მოახდინოს მიკროავტობუსების მობილიზება საქართველოში შემდეგ ლოკაციებზე მითითებული რაოდენობის შესაბამისად (აღნიშნული ჩამონათვალი ცვალებადია, შესაძლებელია მომსახურების მიმდინარეობისას მოხდეს ცვლილება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად):

იმერეთი - 9 ერთეული
სამეგრელო - 3 ერთეული
სამცხე ჯავახეთი - 2 ერთეული
შიდა ქართლი - 2 ერთეული
კახეთი - 2 ერთეული
ქვემო ქართლი - 2 ერთეული
გურია - 2 ერთეული
მცხეთა-მთიანეთი - 2 ერთეული

დღეის მდგომარეობით აარსებული კოვიდსასტუმროებია (აღნიშნული ჩამონათვალი ცვალებადია და შესაძლებელია მომსახურების მიმდინარეობისას მოხდეს ცვლილება):

Gora	ქუთაისი
Argo	ქუთაისი
Discovery	ქუთაისი
Georgian House	ქუთაისი
Sunny	ქუთაისი
Bagrati	ქუთაისი
Nikala	წყალტუბო
Chikovani Mamulebi	გორდი
Best Western Sairme	საირმე
Marani Twins	ნაფარეული
Lucky	გორი
Auroom	ბაკურიანი
Grand Palace	ახალციხე
Rustavi	რუსთავი
Pratap	ანაკლია
Palm Beach	ანაკლია
Anaklia	ანაკლია

N	მომსახურების აღწერა	კილომეტრაჟი	მირკოავტობუსი 8 ადგილი (0.5 წყალი თითოეულ მგზავრზე)
			სავარუდო გარბენი
1	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	1-30კმ	19200
2	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	31-60კმ	21600
3	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	61-100კმ	16000
4	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	101-150კმ	13000
5	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	151-200კმ	11000
6	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	201-300კმ	8000
7	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	301-400კმ	7000

3. ნაწილი

სსიპ საქართველოს ტურიზმიე ეროვნული ადმინისტრაცია ამ ეტაპზე კორონა ვირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში პრემიერის დავალების საფუძველზე, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უზრუნველყო სავალდებულო კარანტინის ფარგლებში მყოფი მოქალაქეების იზოლაციისთვის ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა. მიმდინარე ეტაპზე 2020 წლის 11 დეკემბრის N2449 განკარგულებით საჭიროა კორონა ვირუსის პრევენციის მიზნით, საქართველოს მოქალაქის ან უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომლის ოჯახის წევრს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, სავალდებულო კარანტინის ფარგლებში ტრანსპორტირება, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე საკარანტინო სივრცეებად გამოყენებული სასტუმროებიდან (კოვიდსასტუმრეო) კორონავირუსით ინფიცირებული საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამკურნალო დაწესებულებებში ან საცხოვრებელ ადგილას (იმ შემთხვევაში თუ ჯერ კიდევ იზოლაციის ვადა არ დასრულებულა) ტრანსპორტირებეა, სამკურნალო დაწესებულებებიდან მათი საკარანტინო სივრცეებად გამოყენებილ სასტუმროებში (კოვიდსასტუმრო) ან საცხოევრებელ ადგილას (იმ შემთხვევაში თუ ჯერ კიდევ იზოლაციის ვადა არ დასრულებულა) ტრანსპორტირება, საცხოვრებელი ადგილიდან ინფიცირებული ან სავარაუდო ინფიცირებული (ინფიცირებულთან კონტაქტი) საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკარანტინო სივრცეებად გამოყებულ სასტუმროებში ტანსპორტირებასთან დაკავშირებული მომსახურება ასევე, საქალაქთშორისო მგზავრთა რეგულარულ გადაყვანაზე დაწესებული შეზღუდვების ამოქმედების დღიდან ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ საკარანტინო სივრცეებში მყოფი პირების ტრანსპორტირება (იზოლაციის ვადის ამოწურვის შემთხვევაში) საკარანტინო სივრცეებად გამოყენებული სასტუმროებიდან საცხოვრებელ ადგილზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული ტრანსპორტირება აეროპორტებიდან და სასაზღვრო პუნქტიებიდან საკარანტინე ადგილამდე. ასევე, მნიშვნელოვანია იმის გათავალისწინებაც რომ, მომსახურება ხორციელდება 24/7 საათის განმავლობაში და აუცილებელია მუდმივად მობილიოზებული შესაბამისი ტრანსპორტი სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნლ ლოკაციებზე.

დღემდე მიღებულმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ეს არ არის რიგითი წინასწარ დაგეგმილი და მარტივად გაწერილი სატრანსპორტო მომსახურება, რაც მოიცავს ბევრ დეტალს და ფაქტორს რომლის რომლის გათვალისწინებაც ძალიან მნიშვნელოვანია მომსახურების გაწევისას.

მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი მოთხოვნები:

• ჯანმოს მიერ მოწოდებული რეკომენდაციის შესაბამისად თითოეული მგზავრი არაკოვიდინფიცირებული ტრანსპორტში განთავსებული უნდა იყოს ჭადრაკისებულად, რაც დიდი ავტოპარკის მობილიზებას მოითხოვს, რადგან არის ათობით და ასობით მოქალაქის გადაყვანა საჭირო;

• ყოველი ტრანსფერის დასრულებისას არაინფიცირებული მგზავრების შემთხვევაში უნდა მოხდეს ტრანსპორტის სტერილიზაცია/დეზინფექცია, ასევე მძღოლთა შესაბმისი აღჭურვა (ხელთათმანი, პირბადე, კომბინიზონი და ყველა საჭირო სანიტარული აღჭურვილობით უზრუნველყოფილი);

• ყოველი დღის ბოლოს ტრანსფერ(ებ)ის განხორციელების ბოლოს ინფიცირებული მგზავრების შემთხვევაში უნდა მოხდეს ტრანსპორტის სტერილიზაცია/დეზინფექცია, ასევე მძღოლთა შესაბმისი აღჭურვა (ხელთათმანი, პირბადე, კომბინიზონი და ყველა საჭირო სანიტარული აღჭურვილობით უზრუნველყოფილი);

• დამატებით აღნიშნული მომსახურების განსახორციელებლად საჭიროა ტრანსპორტში მძღოის კაბინის გატიხვრა;

• ჩვენი მუშაობა მიმდინარეობს 24 საათის მანძილზე კვირაში 7 დღე, რადგან დაუგეგმავია შემთხვევები და ძალიან რთულია წინასწარ განსაზღვრა. სატრანსპორტო კომპანია მზად უნდა იყოს ნებისმიერ დროს საჭირო რაოდენობის ტრანსპორტის მობილიზებისთვის, ყველა ლოკაციაზე;

• მნიშვნელოვანია 24 საათიანი კომუნიკაცია, შესაბამისად ორგანიზაციის მინიმუმ 2 წარმომადგენელი მაინც უნდა იყოს გამოყოფილი საკონტაქტოდ საჭირო ტრანსპორტის მყისიერად მობილიზებისთვის, რადგან ერთთან თუ ვერ მოხდა დაკავშირება, მეორე იყოს თადარიგში;

• სხვადასხვა (ჩვენგან დამოუკიდებელი) მიზეზების გამო მგზავრთა დიდი ნაწილი შეშინებული, დაძაბული და ხშირ შემთხვევაში გაღიზიანებულიც არის, რაც დიდი წნეხი ხდება მძღოლისთვის და რთულია სამართავად;

• მძღოლების ქმედებები სრულად უნდა კონტროლდებოდეს ორგანიზაციის მიერ. ასევე, თითოეული მათგანი უნდა ემოჩილებოდეს გაწერილ პროტოკოლსა და შემსყიდველის წარმომადგენლის მითითებებს;

• გაღიზიანებული მგზავრების უმართავი ქმედების დროს ტრანსპორტ(ის)ში დაზიანებული ნივთი (სავარძელი, სავარძელის სახელური, მონიტორი ან/და სხვა ნებისმიერი დეტალი) ვერ ანაზღაურდება შემსყიდველის მიერ.

• იმ შმეთხვევაში თუ ნებისმიერ ჩვენს მიერ მოთხოვნილ რეგიონში, მობილიზებული ტრანსპორტის გამოყენების საჭიროება არ დადგა, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არ ანაზღურებს არანაირ ხარჯს, ანაზღაურება მოხდება მხოლო გამოყენებული ტრანსპორტის შესაბამისად, თუმცა აუცილებელია მოთხოვნილი რაოდენობის განთავსება რეგიონების მიხედვით;

• რეგიონებში მძღოლებთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი, როგორიცაა მძღოლის განთავსება და კვება, უნდა ანაზღაურდეს მომწოდებლის მიერ და ეს უნდა იყოს ფასში გათვალისწინებული;

• ტრანსპორტის დაზიანების ან მძღოლის შეუძლოდ გახდომის შემთხვევაში, სერვისის მომწოდებელმა თავად უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტის ან მძროლის ჩანაცვლება, ისე რომ არ დაირღვეს მომსახურების უწყვეტი მიწოდება;

• რეპორტინგი, სერვისის მომწოდებელი ვალდებულია მგზავრის დანიშნულების ადგილამდე მიყვანისთანავე მოიწეროს შესრულებული ტრანსფერის რეპორტი;

• გადასაყვან ადამიანთა კატეგორია დაიყოფა ხუთ ჯგუფად:

1. დადასტურებული კოვიდ ინფიცირებულის გადაყვანა საცხოვრებელი მისამართიდან, კოვიდ სასტუმროში ან ჰოსპიტალში;
2. კოვიდ ინფიცირებულის კონტაქტის გადაყვანა კოვიდსასტუმროში;
3. გამოჯანმრთელებული კოვიდ პაციენტის გადაყვანა სახლში საქართველოს მასშტაბით;
4. შედარებით მარტივი სიმპტომების მქონე პაციენტების, კლინიკიდან თვითიზოლაციაში გადაყვანა;
5. ტესტირებისთვის გადასაყვანად კოვიდ სასტუნროდან კლინიკაში.

სატრანსპორტო მომსახურება სახელშკრულებო პერიოდის განმავლობაში სავარაუდოდ განხორციელედება შემდეგ ლოკაციებზე:

N	ლოკაციები, სადაც მოხდება მგზავრების ტრანსპორტირი ქალაქი/მუნიციპალიტეტი	კოვიდინფიცირებულთა გადასაყვანად საჭირო ტრანსპორტის ყოველდღიურ რეჟიმში საჭირო მინიმალური რაოდენობა	საკარანტინო სივრცეში გადასაყვანად საჭირო ტრანსპორტის ყოველდღიურ რეჟიმში საჭირო მინიმალური რაოდენობა
		იმერეთი	
1	ქუთაისი	3 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
2	ტყიბული	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
3	წყალტუბო	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
4	თერჯოლა	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
5	ჭიათურა	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
6	საჩხერე	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)

7	სამტრედია	2 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
8	აბაშა	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
9	ხონი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
10	ვანი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
11	ბაღდათი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
12	ზესტაფონი	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
13	ხარაგაული	1 ერთეული ორხიდიანი ტრანსპორტი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული ორხიდიანი ტრანსპორტი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
		შიდა ქართლი	
1	გორი	3 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
2	კასპი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
3	ხაშური	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
4	ქარელი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
		სამეგრელო-ზემო სვანეთი	
1	ფოთი	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
2	სენაკი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
3	ხობი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
4	მარტვილი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
5	მესტია	1 ერთეული ორხიდიანი ტრანსპორტი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული ორხიდიანი ტრანსპორტი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
6	ზუგდიდი	3 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
7	ჩხოროწყუ	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
8	წალენჯიხა	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
9	ანაკლია	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
		სამცხე-ჯავახეთი	
1	ადიგენი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
2	ასპინძა	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
3	ახალქალაქი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
4	ახალციხე	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
5	ბორჯომი	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
6	ნინოწმინდა	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
		რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	
1	ამბროლაური	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
2	ლენტეხი	1 ერთეული ორხიდიანი ტრანსპორტი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული ორხიდიანი ტრანსპორტი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
3	ონი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
4	ცაგერი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
		კახეთი	
1	თელავი	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
2	ახმეტა	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
3	გურჯაანი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
4	დედოფლისწყარო	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
5	ლაგოდეხი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად

6	საგარეჯო	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
7	სიღნაღი	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
8	ყვარელი	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
ქვემო ქართლი			
1	რუსთავი	4 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	2 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
2	ბოლნისი	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
3	გარდაბანი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
4	დმანისი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
5	თეთრი წყარო	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
6	მარნეული	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
7	წალკა	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
გურია			
1	ოზურგეთი	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
2	ლანჩხუთი	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
3	ჩოხატაური	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
მცხეთა-მთიანეთი			
1	მცხეთა	2 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	2 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)
2	დუშეთი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
3	თიანეთი	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად	მირკოავტობუსი მოთხოვნის შესაბამისად
4	ყაზბეგი	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)	1 ერთეული მიკროავტობუსი (მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება დაემატოს ან დააკლდეს ტრანსპორტის რაოდენობას)

ზემოთჩამოთვლილ ლოკაციებს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად დაემატება ახალი მისამართები, რომლიც მიმწოდებლისთვის დაუყვნებლად გახდება ცნობილი როგორცკი შემსყიდველი მიიღებს ინფორმაციას გასაწევი მომსახურების შესახებ.
ფასის დაანგარიშება მოხდება, გადასაყვანი ლოკაციიდან კონკრეტულ მითითებული ლოკაციამდე გავლილი კილომეტრაჟის მიხედვით.
შნიშვნა: ფასები უნდა მოიცავს ყველანაირ ხარჯს და ყველა გადასახადს.

N	**მომსახურების აღწერა**	**კილომეტრაჟი**	**მირკოავტობუსი**	**ორხიდიანი ტრანსპორტი**
			სავარუდო გარბენი	**სავარუდო გარბენი**
1	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	1-50 კმ	19000	900
2	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	51-100 კმ	34900	1800
3	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	101-200 კმ	46500	2400
4	მგზავრთა ტრანსპორტირება ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით	200-500 კმ	21700	1500

მომსახურების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების დადებიდან 2021 წლის 01 თებერვლამდე პერიოდი.
მომსახურების დაწყების ვადაა 2021 წლის 01 იანვარი.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ტრანსპორტით მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ **2020 წლის 31 დეკემბრის N50** ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - მედეა ჯანიაშვილი

ინსპექტირების და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი - ნინო ტვილდიანი

ბაზრის კვლევის განმახორციელებელი პირი - მაია ასლანიშვილი